

მიკროსაფინანსო ორგანიზაციების ზრდის ტენდენციები საქართველოში

ავტორები:

ქეთი ბარბაქაძე

თამარ დოლიძე

ბიზნესის სკოლა, ბიზნესის ადმინისტრირება (მენეჯმენტი), სამაგისტრო საფეხური

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ქეთევან ნადირაშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2015

სარჩევი

1. აბსტრაქტი	2
2. შესავალი.....	3
2.1 მიკროსაფინანსო ინსტიტუტები	3
2.2 ეროვნული ბანკი და მიკროსაფინანსო ორგანიზაციები.....	5
2.3 მიკროსაფინანსო ორგანიზაციების რეგულაციებში ცვლილებები 2013 წელს	6
3. კვლევის მეთოდები	8
4. კვლევის შედეგები	11
4.1 Desk Research – მეორადი ინფორმაციის კვლევა	11
4.2 ქეისი განხილვა- მიკროსაფინანსოს აქტივების ზრდა 3 მიკროსაფინანსო ორგანიზაციის მაგალითზე.....	29
4.3 სავლე კვლევა	38
4.3.1 მომხმარებელთა კვლევა.....	38
4.3.2 არამომხმარებელთა კვლევა	46
5. დასკვნა	52
6. რეკომენდაციები	54
7. დანართი	56
8. გამოყენებული ლიტერატურა.....	65

აბსტრაქტი

სამაგისტრო ნაშრომის მიზანია გავიგოთ საზოგადოების დამოკიდებულება მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მიმართ და დავადგინოთ ის მიზეზები, რომლებიც განაპირობებენ ბოლო პერიოდში მომხმარებელთა სურვილს მიმართონ მიკროსაფინანსო ორგანიზაციას სესხის აღების მიზნით იმ მნიშვნელოვანი ფაქტის გათვალისწინებით, რომ საბანკო სექტორი მიკროსაფინანსო ორგანიზაციებთან შედარებით სესხს გაცილებით ნაკლებ პროცენტში გასცემს.

ჩვენ ჩავატარეთ Desk Research - მეორადი ინფორმაციის კვლევა და საველე კვლევა. მიკროსაფინანსო სფეროში არსებული ტენდენციების გამოსავლენად განხორციელდა საქართველოს ეროვნული ბანკისგან მოწოდებული სტატისტიკური მონაცემების განხილვა/ანალიზი; გამოვლენილი ტენდენციის უკეთ წარმოსაჩენად ასევე მოხდა კონკრეტული მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მაგალითების განხილვა;

ამასთანავე, ჩატარდა საველე კვლევა მიკროსაფინანსო ორგანიზაციებთან – მიმართებაში საზოგადოებაში არსებული დამოკიდებულებისა და მოსაზრებების გამოსავლენად, ასევე იმ მიზეზების დასადგენად თუ რატომ ანიჭებენ მომხმარებლები უპირატესობას და მიმართავენ მისო¹-ებს ბანკებთან შედარებით. აღნიშნული კვლევის ფარგლებშიც გამოიკითხა, როგორც მიკროსაფინანსო ორგანიზაციის უკვე არსებული, ასევე პოტენციური მომხმარებლები. შეიქმნა სპეციალური კითხვარი თითოეული მათგანისათვის. გამოიკითხვა ჩატარდა ელექტრონულად, სოციალური ქსელის „facebook“-ისა და ელ-ფოსტის საშუალებით.

¹ მიკროსაფინანსო ორგანიზაცია